

1918/11

6521

გ. 40214

წელიწადი
კვირული

№ 1.



ბფილისი
1918 წ.

კვირა 1 ლექსიანი.



ყოველ-კვირული სახელდრო შურნალი „რესპუბლიკის ჯარი“
(სამხედრო სამინისტროს განკარგულებათა კრებული სამეცნიერო და სალიტერატურო განყოფილებით).

94-5776

ყოველ-კვირული სახელდრო შურნალი
„რესპუბლიკის ჯარი“

შიილება ხელის მოწერა 1918 წ.

ჟურნალი წლის დამლევამდე ეღირება 5 მ., ცალკე ნუმერი 1 მ. 50 კ. წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ქ. თფილისი, სამხედრო ჟურნალის რედაქცია „რესპუბლიკის ჯარი“, რედაქცია და კანტორა მოთავსებულია სამხედრო სამინისტროს შენობაში ბარიატინსკის ქუჩაზე და ღია არის დღის 11-3 ს. და საღამოს 7-8 ს.

სარედაქციო კოლეგია.



სამხედრო უზრუნველყოფის

„რესპუბლიკის ჯარი“.

(სამხ. სამინისტროს განკარგულებაში არსებული ლიტერატურულ-სამეცნიერო განყოფილებით)



ნ. ნ. ჯორჯანი.

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე.

555569
F/L 116 Y3

ოფიციალი განყოფილება

ბ რ ძ ა ნ ე ბ ე ბ ი

რესპუბლიკის მთავრობისა

სამხედრო ხარისხოსანთ შესახებ

19 ნოემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი
№ 167


დათხოვნილია სათადარიგოდ: არმიის საარტილერიო ბრიგადის ბეითალი ბურჯანაძე, თანახმად მისი თხოვნისა, ამა წლის 24 სექტემბრიდან.

დატოვებულია შტატს გარეშე—არმიის საარტილერიო ბრიგადის, პირველი დივიზიონის უფროსი პოლკოვნიკი ენგელმანი.

ინიშნება—პოლკოვნიკი ჯავრიშვილი არმიის საარტილერიო ბრიგადის პირველ დივიზიონის უფროსად.

ინიშნებიან ინტენდანტებად: პირველ ქვეითა პოლკში-პოლკოვნიკი კურციკიძე, მე-3 ქვეითა პოლკში-პოლკოვნიკი მეტეხე, მე-3 ქვეითა პოლკში-პოლკოვნიკი ციციშვილი, 1-ლ საარტილერიო ბრიგადაში-პოლკოვნიკი ზუბენკო, ყველანი ამა წლის 4 ნოემბრიდან. ცხენოსანთ ბრიგადაში-კაპიტანი გაბაშვილი, 1-ლ ცხენოსან პოლკში-პოლკოვნიკი ანდრონიკაშვილი ორთავე ამა წლის 7 ნოემბრიდან.

მიივლინება არმიის საარტილერიო ბრიგადაში:—ტფილისის ცალკე მსროლელი ბატალიონის პორუჩიკი იმნაძე.





გარიცხული თანამდებობიდან — სანაპირო ლარაჯის უფროსი ბეითალი ქუთათელაძე.

გადამდგარყოფილია — მუნდირით და პენსიით, ყოფილი ოფიცერთა რაზმის პრაპორშჩიკი ქელია.

გადაყვანილნი არიან: ნაცვლად ბრძანებისა რესპუბლიკის მთავრობისა სამხედრო ხარისხოსანთ შესახებ ამა წლის 24 სექტემბრიდან № 80 და 9 ოქტომბრიდან № 89, მივლენელები სამხედრო სამინისტროსთან პორუჩიკი ბახტაძე და პოდპორუჩიკი გრიგორია ერთი მეორის ადგილზედ. პორუჩიკ გრიგორიას დატოვებით სამხედრო სამინისტროსთან მივლენილად.

19 ნოემბერი 1918 წ.

№ 168.

ინიშნება — მოქალაქე ერუსლან არდიშვილი-მე-2 დივიზიის ინსტრუქტორად კულტურულ-განმანათლებელ საქმეში, რაზმის უფროსის უფლებებით და ჯამაგირით, ამა წლის 17 ნოემბრიდან.

19 ნოემბერი 1918 წ.

№ 169.

დათხოვნილნია ქვეითა ჯარის სათადარიგოდ, სენაკის მაზრაში: ყოფილი მე-2 ქართული მსროლელი პოლკის შტაბს-კაპიტანი იმნაიშვილი; ყოფილი რუს-გერმანელთა მსროლელი პოლკის შტაბს-კაპიტანი ბაგრატიონ-მუხრანსკი; ყოფილი პირველი ქართული მსროლელი პოლკის პორუჩიკი არდიშვილი მიხეილი; ყოფილი მე-2 ქართული მსროლელი პოლკის პორუჩიკი მარშადაშვილი გიორგი; ყოფილი ბათუმის მსროლელი პოლკის პორუჩიკი გიგინიშვილი ფალერიანი; ყოფილი მე-5 კავკასიის სანაპირო პოლკის პორუჩიკი კულაძე გიორგი; ყოფილი მე-548 ჩუგუევის პოლკის პორუჩიკი გოგოძე გიორგი; ყოფილი ქართული ცალკე ბატალიონის პორუჩიკი კობზეიძე; ყოფილი სათადარიგო ბატალიონისა, მე-2 ქართულ მსროლელ დივიზიისთან, პორუჩიკი შედანია გრიგოლი; ყოფილი 1-ლ ქართული მსროლელი პოლკის პოდპორუჩიკი შენგელია; ყოფილი მე-14 კავკასიის მსროლელი პოლკის

პოდპორუჩიკი გარსიევი ლევანი; ყოფილი მე-319 ქვეითა პოლკის პოდპორუჩიკი თენიეიშვილი დავითი; ყოფილი მე-2 შავი ზღვის სანაპირო პოლკის პოდპორუჩიკი არგველაძე; ყოფილი მე-7 ქართული მსროლელი პოლკის პოდპორუჩიკი კობახიძე ვასილი; ბათუმის პანტიზანულ პოლკის პოდპორუჩიკები: მაჭავარიანი და ხარაიძე; ყოფილი მე-281 სათადარიგო პოლკის პოდპორუჩიკი ჯავახიშვილი სპირიდონი; ყოფილი მე-2 ქართული მსროლელი პოლკის პოდპორუჩიკი კაკაბაძე ვარლამი; ყოფილი მე-10 ქართული მსროლელი პოლკის პოდპორუჩიკები: კობიევი ანდრია და სამხარაძე კონსტანტინე; ყოფილი მე-28 ქვეითა სათადარიგო პოლკის პრაპორშჩიკი ქელიძე ერპილე; ყოფილი მე-8 ქართული მსროლელი პოლკის პრაპორშჩიკი ჩოლოყაშვილი კოსტანტინე; ყოფილი მე-2 ქართული მსროლელი პოლკის პრაპორშჩიკები: ბაგდავაძე გიორგი გძელიშვილი აღუქსანდრე; ყოფილი მე-83 ქვეითა სამურსკი პოლკის პრაპორშჩიკი ბერინოვი; ყოფილი ბათუმის ქართული მსროლელი პოლკის პრაპორშჩიკები: ბახტაძე გრიგოლი. ქავეარაძე რადიონი. გობრონიძე გოგოლაშვილი პავლე, კვაჭაძე, ნიკოლაიშვილი, ნიკოლაიშვილი ბესარიონი და აგბეცოვი მიხეილი; ყოფილი მე-145 ქვეითა სათადარიგო პოლკის პრაპორშჩიკი ლომია ევგენი; ყოფილი ქართული სათადარიგო პოლკის პრაპორშჩიკები: ლაკეზიანი აკაკი, ტატუნოვი ლეონიდე, მიქიაშვილი, კანდელაკი ივანე, კობერიძე ბარკლონი, შჩერბინოვი და დოლიძე ვიქტორი; ყოფილი მე-176 ქვეითა პრევვლოჩენსკის პოლკის პრაპორშჩიკები: გედევანიშვილი, და გოგინავა; მენ სანაპირო ზაამურსკი პოლკის პრაპორშჩიკები: გოგნიაშვილი ვასილი და პაიქაძე გრიგოლი; ყოფილი მე-57 საეტაფო ბათალიონის პრაპორშჩიკები: კუპატაძე ნესტორი, კუპატაძე ნიკიფორე; ყოფილი 1-ლ ქართული მსროლელი პოლკის პრაპორშჩიკები: კობახიძე აკაკი, ნიკურაძე ლეონიდე და ნიშნიანიძე; ყოფილი მე-10 ფინლიანდის მსროლელი პოლკის პრაპორშჩიკი ქელია იონა; ყო-



გ. ტ. გიორგაძე.

საქართველოს რესპუბლიკის
სამხედრო მინისტრი

ა. ა. მდივანი

სამხედრო მინისტრის მეორე თა-
ნაშემწე, გენერალ-მაიორი

ალექსანდრე გედევანიშვილი
სამხედრო მინისტრის თანაშემწე,
გენერალ-მაიორი

ფილი მე-8 ზამურსკი პოლკის პრაპორ-
შჩიკი კვალაშვილი ნიკოლოზი; ყოფილი
მე-7 ქართული მსროლელი პოლკის პრა-
პორშჩიკი კენთაძე გიორგი; ყოფილი მე-
9 ქართული მსროლელი პოლკის პრაპო-
რშჩიკები: კოვანკო თედორე, გეგელია
ერმილე, მალიევი გიორგი, თუშ-აბრამო-
ვი ზაქარია; ყოფილი მე-220 ქვეითა სა-
თადარიგო პოლკის პრაპორშჩიკი კაკაბა-
ძე სარდიონი; ყოფილი მე-11 ქართული
მსოლელი პოლკის პრაპორშჩიკები: მების-
ფერიძე და შიქაბერიძე პლატონი; ყოფი-
ქართული სათადარიგო ბატალიონის პრა-
პორშჩიკი მოღებაძე დავითი; ყოფილი
მე-180 სამხედრო ტრანსპორტის პრაპო-
რშჩიკი ვაჩანძე გიორგი; ყოფილი მე-2
შავი ზღვის სანაპირო პოლკის პრაპორ-
შჩიკები: ტიგოშვილი და მატაბელოვი
ილია; ყოფილი რუს-გერმანელთა მსრო-
ლელი პოლკის პრაპორშჩიკი ვილგელმი
ფიშერი; ყოფილი სამტრედიის ეტაპის პრა-
პორშჩიკები: ჭიჭინაძე გიორგი, მიქაბერიძე
კონსტანტინე და ჩერქეზიშვილი იოსები;
ყოფილი მე-221 სათადარიგო პოლკის პრა-

პორშჩიკი კიკილაშვილი ილია; ყოფილი
მე -4 ქართული მსროლელი პოლკის პრა-
პორშჩიკი ქუთათელაძე ირაკლი; ყოფილი
მე-150 ქვეითა სათადარიგო პოლკის პრა-
პორშჩიკი გოგორიშვილი ირაკლი; ყოფი-
ლი მე-5 ქართული მსროლელი პოლკის
პრაპორშჩიკი სვანიძე; ყოფილი მე-682
ქვეითა ბაიკალის პოლკის პრაპორშჩიკი
ნიკოლაძე; ყოფილი მე-15 კავკას. მსრო-
ლელი პოლკის პორუჩიკი მეტრეველი.

16 ნოემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი.
№ 170.

პოლკოვნიკმა ი ნ წ კ ი რ ე ვ ე ლ მ ა მოხ-
სენებით შემატყობინა, რომ ამა 6 ნოემ-
ბერს გადმოვიდა ჩემს განკარგულებაში.

21 ნოემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი.
№ 171.

ინიშნება კორნეტი ვაჩანძე თელა-
ვის სამაზრო სამხედრო სამმართველოს
უფროსის თანაშემწედ.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე.

არა ოფიციალი განყოფილება

პირა, 1 დეკემბერი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დღეს შედგენილყოფის ხანაშია. მისი მთავრობა გიორგეცეხელი ენერგიით შეუდგა დემოკრატიული სახელმწიფოს აპარატის შენებას და მასთან ერთად პოლიტიკურად საიმედო, ორგანიზაციულად მოწყობილ ჯარის შექმნასაც. პარლამენტი და მთავრობა კარგად გრძნობენ, რომ დამოუკიდებელ საქართველოს სკირია საიმედო ჯარი და მის შესადგენად სასწრაფო ზომებს ღებულობენ.

მართალია, რომ ქართულს პრესაში ზოგჯერ არის ხოლმე კამათი შეიარაღების სისტემის შესახებ, მაგრამ დღემდის ეს კამათი არ გასცილებია აკადემიურ ხასიათის მსჯელობას, და პრაქტიკულად-კი დღეს რეგულიარულა ჯარის აუცილებლობას არაფერ უარჰყოფს, პირიქით, დღეს ამის შესახებ ყველა შეთანხმებულია.

მე-8 სოც.-დემ. კონფერენციამ, რომელმაც ამ დღეებში დაათავა მუშაობა, გულ-წრფელი სალაში უძღვნა ჩვენს ჯარს და იმედი გამოსთქვა, რომ საქართველოს რესპუბლიკის ჯარი განმარტლებს თავის დანიშნულებასო.

ასეთ მოვლენას ჩვენი რედაქცია ღრმა ზნეობრივი კმაყოფილებით ეგებება, რადგანაც ამის შემდეგ აღარ ექნება ადგილი იმ გაუფებრობას, რომელიც შეიარაღების სისტემის საკითხის გარშემო იყო და გამოურკვეველ მდგომარეობაში აყენებდა სახენდრო უწყებაში მოსამსახურეებს, რაც ძლიერ უშლიდა ხელს ჯარების შედგენილყოფის საქმეს.

რაც შეეხება სჯა-კამათის იმის შესახებ, თუ რომელი სისტემა სჯობია და მომავალში საქართველოსთვის მისაღები იქნება, მუდმივი — რეგულიარული ჯარის სისტემა, თუ სახალხო მილიცია, ამის შესახებ თვით ჩვენი ორგანო ეცდება აკადემიურად გააზუქოს ეს ფრიად საგული-

სხმო საკითხი, რომ ჩვენს ხალხს სრული წარმოდგენა ჰქონდეს ამის შესახებ.

დღეს-კი, ვსდგევართ რა მუდმივი ჯარის არსებობის ფაქტის წინაშე, ჩვენ ვინახავთ შემდეგ უახლოეს მიზანს:

ა) რაც შეიძლება ხელი შევეწყობთ ჯარის ორგანიზაციულად შედგენილყოფას.

ბ) სალი დისციპლინის და კეთილი განწყობილების ჩამოგდებას სახენდრო ხარისხისანთა შორის.

გ) რესპუბლიკის მთავრობის დავალების აუცილებლად შესრულების შეგნებას ჯარების მიერ.

დ) სახალხო გვარდიის და რეგულიარული ჯარის შორის მჭიდრო კავშირის და სრულ ნდობის განმტკიცებას.

ე) დივიზიებთან არსებულ კულტურულ-განმანათლებელ სექციებთან შეთანხმებულს მუშაობას, რომ საერთო ძალით ავსწიოთ განათლება ჩვენს ახალ ჯარში, შევავსებოთ სამშობლო, განვამტკიცოთ ჯარში სალი პატრიოტიზმი და ამხარაღდის გაეხადოთ სრულ საიმედო შეიარაღებულ ორგანიზაციად.

ჩვენს ორგანოს ოფიციალი განყოფილებაც აქვს, სადაც მოთავსებული იქნება სახენდრო სამინისტროს განკარგულებანი და სახელმძღვანელო განმარტება — ინსტრუქციები, რაც საშუალებას მოგვცემს შევიმუშავოთ ყველასათვის გასაგები სახენდრო ცხოვრებაში სახმარი ტერმინოლოგია და მით თავიდან ავიცილოთ ბაბილონის გოდოლის ამშენებლების ბედი. რესპუბლიკის შედგენილყოფის პირველ ხანაში ისე აირია ტერმინები მშობლიურ ენაზე გადმოთარგმნის დროს, რომ ადგილებიდან შეგვეკითხენ: როგორ გავიგოთ ესა და ეს ტერმინო. სწორედ ესეც უნდა ჩაითვალოს ერთს უმთავრეს მიზეზად, რომელმაც გადაგვაწყვეტინა გამოვსკეთ სპეციალი სახენდრო ორგანო, რომლის საშუალებით ახლად გადაქართულებულ სახენდრო ტერმინებს უნდა მოვუპოვოთ მოქალაქობა.

ამის გარდა რედაქცია ადგილებიდან გამოკვეთილ კითხვებზე მისცემს განმარტებას და დახმარებას აღმოუჩენს ყველას, თუკი ეს საქარო შეიქნება.

ვიმედოვნებთ, რომ ქართული საზოგადოება ყურადღებით შეეგებება ამ ჩვენს ახალს საქმეს და დახმარებას აღმოგვიჩენს დასახული მიზნის შესრულებაში.

რესპუბლიკის ჯარს.

ბრძოლის ცეცხლში გაიქცა ჩვენი ბედა გაზაფხულზე, — როცა მტერი ჩვენს სამშობლოს უმიზნებდა ლახვარს გულზე, როს ურდოებს მაღა-გახსნილს, თვის სწრაფვაში შეუპოვარს, ჩვენ ვებრძოდით და ვიცავდით ჩვენი ბრძოლით მონაპოვარს, მაშინ ორგულთ შინ და გარეთ თუმც მოგვიდეს ცეცხლის ალი, მაგრამ ჩვენ არ დაებნეულვართ, გამოვინახეთ გზა და კვალი, და მუხანათ მტრის წინაშე ქედი აღარ მოგვიხრია, და ჰა, დროშა გამარჯვების დღემდისაც ხომ ხელთ გვიყარია... და ამისთვის განა ვინმემ მოგვასმინეს ვაშა, ტაში??? — —არა!! მტრებმა შინ და გარეთ შექმნეს დრტვივა და განგაში. და ეს დრტვივა, ეს განგაში დღემდისაც ხომ არ დამცხრალა, მათ აშინებთ, თავ-ზარსა სცემს ერთობის და ძმობის ძალა!.. ფიზოლად ძმებო! ყოველ მხრიდან იღვსავენ ჩვენზე კბილებს!.. მაშ, შემოკვრბეთ, ვით შეშვენის თავისუფალ ხალხის შვილებს, დავირაზმოთ და მუხთალ მტრებს დავსკეთ რისხვა, დავსკეთ ზარი!! დეე, იგრძნონ, თუ რა არის საქართველოს მძლე ლაშქარი...

ილია სიხარულიძე.

მოკლე რჩევს

ახალ ჯარის-მასშხის მასშავლებელ მოხირებს

რომ სამშობლოს სიძლიერე — ჯარია — დღეს ეს აქსიომაა ყველა სამშობლოს მოყვარულის ქართველისთვის.

ჯარი გაწრთენილი, სამხედრო ხელოვნების ზედმიწევნით მცოდნე, ტეხნიკურად მომზადებული და თავისუფალის სამშობლოს სიყვარულით აღფრთოვანებული და მტკიცე დისციპლინის დამცველი — სიამაყე იქნება ჩვენი ნორჩი დემოკრატიული რესპუბლიკისთვის.

ჩვენი ჯარი ახალია — სულ რამოდენიმე თვის ისტორია აქვს. სიმართლე უნდა ითქვას, რომ რაც შეეხება ასეთ მოკლე დროს, ჩვენ ჯარს დღით-დღე წარმატება ეტყობა და მეტად კარგს შთაბეჭდილებას ახდენს საზოგადოებაზე.

ის, ვინც ჩვენი ნორჩი ჯარისაგან დღეს ბევრს რასმეს ითხოვს და უთითებს ძველს ჯარებზე და მათ დისციპლინაზე სცდება და ავიწყდება, რომ

ძველი ჯარები და დისციპლინა ორს-სამს თვეს არ შეუქმნიათ და რამდენსამეათეული წლის ნამუშევარი იყა.

ჩვენს ოფიცრებს, რომლებიც სათავეში უღვანან ჯარის აღზრდის საქმეს მეტად დიდი მოვალეობა აწევსთ თავზე, მეტად დიდი პასუხისმგებელი არიან სამშობლოს წინაშე.

ოფიცრებო! რომელთაც გახარებთ სამშობლოს თავისუფლება, გრსწამთ და სიხარულით ეტრფით მის საუკეთესო მომავალს, ვალად გედებათ ჯარის მომზადება და ამისთვის დიდი უნარის გამოჩენა არის საჭირო, რომ პირნათლად შეხსრულოთ თქვენი მოვალეობა სამშობლოსადმი. ერთს წუთსაც ნუ დაგავიწყდებათ თქვენი წმინდა მოვალეობა და პირნათლად შეუღეპით თქვენი მოვალეობის ასრულებას.

როგორც სახლის აშენების დროს, პირველ ყოვლისა საჭიროა მტკიცე საძირკვლის აშენება, შემდეგ კედლებისა და მერე სახურავის, აგრეთვე ჯარის-კაცის აღზრდა-მომზადებასაც ყაზარმაში

მოსულის პირველი დღიდანვე უნდა მტკიცე და სწორს გზაზე დაყენება.

ამისათვის ჯარის-კაცების ყაზარმაში მოსვლას ისე უნდა ევლიდეთ, როგორც გულ-კეთილი მას. პინძელი სასურველ სტუმარს.

მოვლენ თუ არა ახალი ჯარის-კაცები ყაზარმაში, მაშინვე შეხედით და თბილის გულით მიიღეთ ისინი. ხამი ჯარის-კაცებისათვის ყაზარმა რაღაც საფრთხობელაა, მათ სამხედრო სამსახურზე ანუ „საღდათობაზე“ როგორც თითონ, ეძახიან და აგრეთვე ყაზარმაზე მეტად ცუდი წარმოდგენა აქვთ. თქვენი მოვალეობა არის ეს წარმოდგენა პირველ დღესვე გაუქარწყლოთ მათ და დაარწმუნოთ ისინი, რომ ყაზარმა არ არის ციხე ანუ ისეთი სახლი, სადაც ჯარის-კაცები საწვალემლად მოჰყავთ და „საღდათობა“ ანუ ჯარის კაცობა საპატიოა წოდებაა; ეს სამშობლოსადმი სავალდებულო სამსახურია ყველა ახალგაზრდა ქართველისათვის.

მოვლენ თუ არა ახალი ჯარის-კაცები ყაზარმაში, მაშინვე შემოიკრიბედ ისინი გარშემო, გამოჰკითხეთ საითთაოდ გვარი, სახელი, რომელი სოფლიდან და მახრიდან არის, ჰყავს დედ-მამა თუ არა, რამდენი ძმანი არიან, როგორ ცხოვრობს მამა მისი ღარიბად თუ მდიდრად. ეგება თქვენი სოფლის შვილი გამოდგეს, გამოეცნაურეთ, უთხარით თქვენი ვინაობა, ეგრეთვე, თუ იცნობთ მის ნათესავ-მეზობელთ, დაუსახელეთ ისინი. ჰკითხეთ, რას აკეთებდა სამსახურში მოსვლის წინ, სოფლის მუშა იყო თუ ქალაქის. იცის წერა კითხვა თუ არა, თუ არ იცის ნუ დაიხარებთ და დაუწერეთ პირველი წერილი მშობლებთან, აცნობის მათ თავისი მისამართი და სხვა.

დაატარეთ ყაზარმა, ჭკვენთ ყველა მისი ადგილები, აუხსენით საერთო მათი მოვალეობანი, უჩვენეთ პირდაპირი უფროსები და აუხსენით მოკლეთ, თუ როგორი დამოკიდებულება უნდა დიკტირონ მათთან.

თუ რომელსამე მათგანს შეატყობთ მოწყენილობა და დაღვრემილობა, იცოდეთ, რომ მას სახლის და მშობლების ჯარი აწუხებს, მისი ფიქრი ისევ მშობელს კერასთან არის და ვერ დაუფიქრია იგი. მიღით ახლოს მასთან, ეცადეთ გაართოთ და გაამხიარულოთ იგი, გაუწოდეთ მას ძმურად ხელი.

თქვენის გულკეთილობით დაიმსახურებთ მისგან სიყვარულსა და პატივისცემას. ერთბაშად

ჯარის-კაცი დარწმუნდება მასში, რომ ოფიცერი არ ყოფილა მისთვის და საშიში პიროვნება.

მოკლედ აუხსენით ახალს ჯარის-კაცებს, თუ რისთვის მოიწვიეს ისინი სამსახურში და რა დიდი მოვალეობა აწევთ მათ და რას ავალებს მათ ჩვენი სამშობლო:

თითქმის ორი წელიწადი მიმსახურნია ჯარის-კაცად ყაზარმაში.

ვარ დაკვირვებული და გაცნობილი ჯარის-კაცის ცხოვრებას. პირველი დღეები ყაზარმაში—მათთვის მართლაც რომ ძნელია, და სწორედ ამ პირველ დღეებშია საჭიროა, მათთან გაცნობა, დაახლოვება და მათი კეთილ გზაზე დაყენება, თუ პირველი ნაბიჯი სწორედ იქნა გადადგმული, მერწმუნეთ, რომ შემდეგში მათი მომზადება და გაწრთება, როგორც ჯარის-კაცებისა, ადვილი საქმეა.

ა.გ. აბესაძე.

კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა ჯარში.

ქართველი ხალხის ეხლანდელ კულტურულ მდგომარეობის გამო, პირველ ხანებში ჯარი საეკილური დანიშნულების-მეტრობისაგან სამშობლოს დამცველების მომზადების გარეშე, უნდა იყვეს სკოლა საერთოდ ამზრდელი და განმანათლებელი ქართველი ხალხისა. მან უნდა მოამზადოს არა მარტო მეომრები, არამედ შეგნებულნი მოქალაქენიც, რომელნიც ყოველთვის მზად იქნებიან შესწირონ თავი სამშობლოს.

საბედნიეროდ, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა მოხდა იმ პერიოდში, როდესაც მოგვეპოვება შედარებით საქმარისი ინტელიგენტური ძალა, არამც თუ ხალხში მარტო, არამედ თვით ჯარშიაც, რაც თავის-თავად კარგს იმიღებს იძლევა ქართველ ჯარის მომავლისათვის. ბალკანეთის პატარა სახელმწიფოების—რუმინეთის, საბურძნეთის სერბიის და ბულგარეთის შექმნის დროს ასეთი ბედნიერი გარემოება არ ყოფილა.

ბალკანეთის ერები კულტურულად გაცილებით დაბლა იდგნენ ვინმე ეხლანდელი საქართველო. იგინი საჭიროებდნენ უცხოელების ხელმძღვანელებსა და ინსტრუქტორებს არა მარტო ჯარისთვის არამედ სხვა სამოქალაქო ადმინისტრაციისთვის.

ციის უწყებათათვისაც. სახელმწიფოს ასაშენებლად, საქართველოს ზოგიერთ დარგში ჰყავს საკმარისზე მეტი ინტელიგენტური ძალა, ჰყავს ვერდ-წოდებული ინტელიგენტური პროლეტარიატიც, როგორიც თანამედროვე ხანაში არსებობს ევროპულ სახელმწიფოებში ბალკანეთის გამოუკლებლივ. ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს ჯარის სიმცირის გამო ბევრი კარგი ოფიცერი დარჩა შტატ გარეშე ან სრულებით ვერ მოაწყო სამხედრო სამსახურში უადგილობის გამო. აქედან ჩანს, რომ ჯარი თავისი არსებობის პირველი დღიდანვე არ იგრძნობს ხელმძღვანელებისა და ინსტრუქტორების უკმარისობას. მაშასადამე კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა ჯარში თავიდანვე შეიძლება დადგეს მკვიდრს და ნაციონალურის საფუძველზე.

სამხედრო უწყებისაგან ქართველ ჯარში კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას მიჩნეული აქვს შესაფერისი ადგილი სხვა მეცადინეობათა რიცხვში. სამხედრო მინისტრის განსაკუთრებული ბრძანებით ეს მუშაობა შეიქნა სავალდებულო და მის შესრულებასაც შეუდგენ. ამ წერილში მე მოვიყვან იმ საფუძველებს, რომლებზედაც უნდა ემყარებოდეს კულტურულ-განმანათლებელი მოღვაწეობა ჯარში.

ეს მოღვაწეობა უნდა სწარმოებდეს ორი მიმართულებით: აღმზრდელობითი და განმანათლებლობითი. პირველ მიმართულებაზე მუშაობით საკიროა ვესწრაფეთ, რომ ქართველი ჯარის-კაცისაგან შევქმნათ მხნე მეომარი და კარგი მოქალაქე; მეორე მიმართულებაზე მუშაობით კი ჩვენ მივცემთ არა მარტო შესაფერ სამხედრო განვითარების არამედ ზოგად მოქალაქეობრივ თვალთხედვას, რაც აუცილებელია დემოკრატიულ რესპუბლიკის ჯარის-კაცისა და მოქალაქის მოვალეობასთან შეგნებული დამოკიდებულებისათვის.

წმინდა სამხედრო აღზრდა როგორც ყველა ჯარშია მიღებული, უნდა ემყარებოდეს, კარგი მოტივებით შედგენილ წესდებაზე შინაური. და საგარეოზო სამსახურისა და დისციპლინარულ წესდებაზე, სამხედრო განვითარება-კი ემყარება სათანადო დარიგებებით შეესებული ჯარის სამწეობრო წესდებაზე, და სავსე სამსახურის წესდებაზე, რომელთა გადასინჯვის დროს უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული გამოცდილებანი უკანასკნელი ხნის, კაცობრიობისაგან ეხლახან

გამოვლილის და მსოფლიო ისტორიისათვის უდიდესი ომისა, რომლის დროს ასე ფართეთ იქნა გამოყენებული სამომარი ტენიკური საშვალე-ბანი.

მარტოდენ წესდებაებით და ინსტრუქციებით არ შეიძლება განვსაზღვროთ სამხედრო აღზრდა და განვითარება ჯარისკაცისა. ისინი უნერგავენ ერთ-გვარ ჩვევას და მისთან ამგვარებენ მასში მექანიურად დისციპლინას. ასე გაწრთენილ ჯარის-კაცი კარგი არის სხვაში გარეული, ხოლო ცალკე ვერ იჩენს ინიციატივის უნარს და არ შეუძლია იყოს მბრძანებელი რამოდენიმე კაცისაგან შემდგარი ჯგუფისა. მისი დისციპლინანობა არ გულისხმობს შეგნების ელემენტებს. მისი თვალთხედვა უნდა იყვეს გაფართოებული ელემენტარული ცოდნის შეთვისებით სამხედრო საქმის ყველა დარგიდან, რომ თვითეულ სამომარ გარემოებაში შეეძლოს გაერკვიოს და ანგარიში გაუწიოს მდგომარეობას და შეცნობილად შეასრულოს მბრძანებელთა განკარგულებები, ან იმოქმედოს განკარგულებების მიხედვით და, როცა გარემოება მოითხოვს, გამოიჩინოს საკუთარი ინიციატივა. ზოგიერთი ასეთი ცოდნათაგანი ამავე დროს ავითარებს იმ დისციპლინას, რომელიც დიკავშირებულია საზოგადოთ გონებრივ განვითარებასთან, სამხედრო საქმის ნათელ წარმოდგენასა და სამხედრო და სამოქალაქო მოვალეობის შეგნებასთან.

მაგრამ უკანასკნელი განსაკუთრებით მტიციდება ჯარის კაცში საერთო განათლების მიღებით, მას უნდა ჰქონდეს ელემენტარული წარმოდგენა მინც უცხო მხარეებზე, დიდ სახელმწიფოებზე და უფრო დაწერილებითი ცოდნა თავისი სამშობლო მხარის გეოგრაფიისა. მარტივთა უნდა გაეცნოს თავისი ერის ისტორიას. უნდა იცოდეს მიმდინარე, ეკონომიური და სოციალური პერსპექტივები თავისი ქვეყნისა. განსაკუთრებული გარკვევით ვალდებული იცოდეს თავისი სამშობლოს სახელმწიფოებრივი წყობილება, განსხვავება სახელმწიფოს ძველი და ახალი პოლიტიკური და სოციალური წესწყობილების შორის.

განსაკუთრებით სასარგებლოა სამშობლოს შესწავლა, წარჩინებული ისტორიული პირების, ანუ თანამედროვე საქართველოს მოღვაწეთა ღვაწლის შესწავლა ძლიერ შეუწყობს ხელს საღ პატრიოტულ გრძნობის გაღვივებას. განთქმული სამხედრო მოქმედებანი, თუგინდ პატარა მეომარებისა,

განსაკუთრებით ხელს უწყობს მხედრული თავ-
მოყვარეობის გრძნობის გაძლიერებას, რაც აუ-
ცილებელია ყველა საქმის წარმატებისთვის და
თანაც აძლიერებს თითველ მხედარში სამშობლ-
ოსადმი სიყვარულს.

გ. ბ.

(გაგრძელება იქნება).

„დაბრკაული“.

(ნამდვილი ამბავი)

სოფელი № მშვენიერი სანახავია შემო-
დგომით: მსხვილ-მსხვილ ტარობით შე-
ქედილი სიმინდის და საესე თავთავეებით
დატვირთულას, თავჩაქინდრული ღომის
ყანები მუშას სიამით უცხებს გულს; მსხვილ-
მხვეილი ყურძნის მტვევებით დაკუნწული
მალარისა და დაბლარის ჯიშის ვენახე-
ბი თვალს იტაცებს და არე-მარეს ტკი-
ლი სუნით ავსებს; აბა, ლოყებ-წითელა
ვაშლებს, ყვითელ, სურნელოვან კომ-
შებს, მსხლებს და სხვა მრავალ ხილს ხომ
ვერ ჩამოავლი; ამიტომაც იტყვიან ხში-
რად გლეხები: „გული თუ გინდა, ძამიავ,
გაგიძღეს მუშა კაცს, №-ში უნდა მიხვიდე
შემოდგომაზეო“ და მართლაც, ამ სო-
ფელს შემოდგომაზე სხვა და სხვა სოფ-
ლებიდან მრავალი სტუმარი ეწვევა ხოლ-
მე; ყველა დიდი სიამოვნებით შველის
№-ელებს რთველში, სიმინდისა და ლო-
მის ტეხა-კრეფაში; აქაური წითელი ღვი-
ნო მაჭარი, ბადაგი, ჩურჩხელები, ფელა-
მუში, ტკილის კვრები და სხვა ყველას
იზიდავს ამიტომაც №-ელები რთველს
მალე მორჩებიან ხოლმე, და გაისმის
რთველის შემდეგ ამ სოფელში სიმღერა,
არის ქეიფი, ქორწილები, ნათელა და
სხვა ამგვარი ღვინის სწორედ ბე-
დნიერაა ეს სოფელი. მუდამ უხვი,
მუდამ ლალი, კარგი წყალითა და ჰაერით.
ამ სოფლის მცხოვრებლებიც განირჩე-
ვიან ჯანსაღობით, პურადობით და გულ-
კეთილობით.

ამ სოფელში, ზოსიმე დოვლათიძე-
სათვის რო გეკითხათ, ყველაზე უთრო
ბედნიერად ის გრძნობდა თავს: ჰყავდა
ერთი ქალი-თებრო და ორი ვაჟი: ზაქ-
რო და სოსო.... ზოსიმეს ცოლი მაკა
ხომ სიხარულით აღარ იღვა ფეხზე, შე-
ხაროდა შვილებს და რჯახს... „მომე-
სწრო, შვილები, ღმერთს ვმადლობ, სი-
ბერე აღარ გვაშინებს ახლა მე და ჩემს
ბერეკაცს-ზოსიმეს, ერთხანს რო ღმერთი
გვაკოცლებდეს და ამ ბაღნების ბედ-
ნიერებას-დაცოლშვილებას და თებრო-
ნეს გათხოვებას მოვესწრებოდეთ, მერე
შეუყვებ ჩვენ გზაზე, აბა სულ ხომ ვერ
ვიცოცხლებთო“, იტყოდა ხომღე მაკა.-
„კაი არის შენ ნუ მომიკვდე, ჩემო მა-
კანა, თუ კი ისე მოაქნებრაკე საქმე, რო-
გორც შენ გინდა და არ მოგვადგამანამ-
დი კარზე იგი სულთამაშუთავი სიკვდილი,
მარა ხომ გაგიგონია: „კაკი ბკობდა,
ღმერთი იცინოდაო“—უპასუხებდა ზოსი-
მე ცოლს.... ამგვარი საუბარი და ნატ-
ვრა ხშირი იყო მათში.... თებრონე
მართლა მალე გაათხოვეს. ან კი რად
გაუჭირდებოდათ ისეთი ლამაზი, მოხდ-
ნილი გოგონას გათხოვება: მისი შავი
თვალები მაყვალეით გამოიყურებოდენ
მოხდენილსა და ლამაზად ახილ შავსავე
წარბებს ქვეშ, სახე მკვირცხლი, სანდო-
მიანი, ანუ როგორც იტყვიან მარილიანი
ჰქონდა: ბროწეულის მაგვარი ტუჩები,
რო გაიცილებდა, ბროლის კბილებს წით-
ლად აშუქებდა და თვალს ატყვევებდა
წარბტაკობით. მოქნილს ტანზე ორი
მსხვილი ნაწნავი სცემდა, ხან მარცხნივ
გადაიკლანებოდა, ხან მარჯვნივ; სია-
რული ისეთი სწორი, მოქნილი იცოდა,
რომ ყველას ყურადღებას იპყრობდა,
ქალაქიდან ჩამოსული სოფლელები იტყო-
დენ: ნეტავი, სად ისწავლა ამ თებრონემ
ასესთი სწორი და მოხდენილი გოგვა ამ

ოღრო-ჩოღრო სოფელში, ასე გგონია, სულ ქვაფენილებზე უვლიაო..... ჰო, და ასეთი გოგონა ბევრის ყურადღებას იპყრობდა, და ისიც ისეთ ხშირ და მრავალსტუმრებიან სოფელში, როგორც არის. №-ი ერთს კარგს შექმლებულს ყმაწვილს, რომელსაც გულში ჩავარდნოდა კარგა ხანია თებროს სიყვარული, და რომელზედაც არც თებრო უტკეროდა გულგრილად, აიღეს და მიათხოვეს იგი... ზოსიმე და მაკა კმაყოფილნი იყვნენ თებროს გაბედნიერებით და ახალი სიძით... ახლა რაღა აკლდათ მათ; მხოლოდ ზაქროს და სოსოს დაკოლშილება, მაგრამ საქმე იმაში იყო, რომ ისინი სასაღდათონი იყვნენ, ომიანობა იყო და კენჭი მოესპოთ, ყველა მიჰყავდათ ჯარში, მხოლოდ თუ მშობლები ძალზე მოხუცები იყვნენ ერთს შვილს უტოვებდნენ. სოსო თუმცაღა უმცროსი იყო, მაგრამ იმასაც მალე უწევდა ჯარში წასვლა, შეიძლება ერთ-ერთის გაღარჩენა. მაგრამ რომელი უნდა წასულიყო, აი საკითხი, რომელიც ვერ გადაეწყვიტათ მშობლებს და ვერც ძმებს. — შეილებო, რა ვქნა რა ქვას ვახლოთ თავი, იტყოდნენ ზოსიმე და მაკა, სამარეში ფეხი გვიდგია და ახლა რომ რაიმე უბედურება თავს დამატყდეს, რავქნათ, ამ „ვაინის“ დამწყებს დაეწყველოს გაჩენა და დაბადება, რა მევაინება, ჩემთვისა ვარ ჩემს ქონში... სამშობლო უნდა დაიკოთო, რა უჭირს ჩვენს სამშობლოს დასაცავი, ნუ ეჩხირკედლებიან ერთმანეთს აგი ხენწიფები და ქე იქნება, რაცხა იგენი ერთმანეთში ვერ მოწყვებიან და ასტეხონ უნდა ვაინი და უბედურობა. . გერმანიას უნდა ეჩხუბოთო... ვინ არას გერმანიე, რა აქ იმას ჩვენთან საჩუბარი, ან ჩვენ რა გვაქვს მასთან საქმე? მინახავს, საზღვარზე, წავჩუბებულ ვართ, ერთი თუ მეორე? იქინა უნდა

გავგზავნოთ ავი სიმწრით გაზდილი ბაღები და დავზოკოთ. დეილოცა, ღმერთო, შენი სამართალი, რეიზა არ გადმოხედავ ამ ცოდვილ ქვეყანას და არ დააკალონებ საქმეს... ერთ—ერთი უნდა გავზავნო ჯარშიო, რომელი ერთი მემეტება განა? ორივე შვილია, ორივე სიმწრით გამოზრდილი, რომელი თითიც უნდა მოჰქრა განა ერთნაირად არ მეტკინება? ასე სწუხდენ და წუწუნებდენ ზოსიმე და მაკა შვილების ჯარში გაწვევისთვის. — კარგი ახლა, ეტყოდა მათი წუხილით დასვედიანებული ზაქრო მშობლებს რა არის, რომ ჩამოგტირით ცხვირ-პირი, რა ვუყოთ, ისეთი რამე ხომ არ გვატყდება თავს, რაც სხვას არ მოსდის, რა ექნათ, საერთო გასაქირია, ასში რომ ერთს ეშინოდეს, ზიარება არ უწერიაო, ხომ გაგიგონია, მამა, მე წავალ, სოსო სუსტი, ნაზი აგებულების არის, მაგი აქ უფრო გამოდგება, ვინემ იქ; სანამ მე დავბრუნდებოდე ღვთის მადლით, მაგი გიშველით სახლში. თუ კარგი ბედი გამოჩნდეს, ცოლიც შერთეთ... — არა, ძმავო, უპასუხებდა სოსო, არც ისე სუსტი ვარ შენ რომ გგონია, კი გამოვდგები, ამ თოფ-იარაღს მეც კარგად ვიხმარ, მე წავალ, სჯობია; შენ, რაც უნდა იყოს, ოჯახის ბურჯი ხარ, უფროსი ვაჟიშვილი, ოჯახს უჩემობას არ დაამჩნევ... ასე ამნაირ — ლაპარაკში იყო ხშირად ოჯახი, საკითხი კი ვერ გადაეჭრათ მაინც, მშობლებს არც ერთი მემეტებოდა, ძმები კიდევ ერთმანეთს ვერ იმეტებდნენ და ასე, ამ გვარად იყო საქმე ერთხანს, სანამ ერთი აზრი არ მოუვიდა ზოსიმეს თავში. ეს აზრი გახლდათ: რამენაირად ერთ-ერთი შვილი „დაებრაკინებინა“, უფარგისად ეცნობებინა საშხედრო საკრებულოს წევრებისათვის და მაშინ ორივე სახლში ეყოლებოდათ, მაგრამ როგორ

მოცნობებით ეს. აი, თავსატეხი ფიქრი, თუმცა ეს საკითხიც მალე გამოარკვევს.

იმ სოფელში ცხოვრობდა ერთი გამოკვარაყვანილი, ყოველ გვარ საქმეში გამოქნილი სილოვან ხრიკადე; მისი ხელობა იყო უმთავრესად სასაღმრთლო ყმაწვილების ჯარში წასვლისაგან „მოხერხებით“ გადაარჩენა... ის ამისათვის, რასაკვირველია, „შრომის ფასს“ იღებდა, მისთვის რომ გეკითხათ, ის მხოლოდ სამადლო საქმეს შერებოდა და მეტს არაფერს. — ახლა, ბევრს იქნება ქე ჰგონია; რომ სილოვანა ხრიკადე გამდიდრდა ქრთამებითო, იტყოდა ის ხშირად, იმის მეტი ისინი არ გამდიდრდა ღმერთმა, მე არ ვმდიდრდებოდე; ჰმ, რას დაგიმადლებენ, მაგენტან პატრიარქსემა ვის გაუფა, რამდენი საწყლის შვილი გადაშირჩენია საღმრთოდ წასვლას საცხა იმ გადაკარგულ რუსეთის ქვეყანაში, რამდენი შიშრდებოდა: ოღონდ გამინთავისუფლე შვილი და აგაშენებო ისე აშენდა მაგენტის ოჯახი, აგაშენებენ კი არა, ორი კაპეიკი თუ მოგკენ, იმასაც ქრთამს უძახიან; ქრთამი ეილო სილოვანამო... ჰმ, ამ მამაცხონებულებს საქმის გაკეთება ლობიეს ჰამა ხომ არ გონიათ; რაფა, საქმე რომ გააკეთო, კაცებს არ უნდა იცნობდე?.. და კაცების გაცნობა და დადოსტება მაგათ ადვილი გონია; ერთი ბიჭი რომ საღმრთობას გადაარჩინო, რამდენს „პრისუსტიეს“ ჩიუნებს უნდა გეცნო და დიუნჯაკომო, აქეთ უეზდნი პრედვოდიტელს, იქით ვინი და ღრუაქდანსკი დობტურს, ჩიუნებს და რა ვიცი, რამდენს... უნდა დაპატიყო, აქეიფო, პურ-მარლი უნდა და ჰაწა ქე უნდა ჩაყლაპო ზოგიერთებს აი, სულ ამავებზე მიდის ეს ფულეები, თუ ვინმემ ორი გროში მომცა, თორემ ჩემს ჯიბეში კაპეიკი არ ჩაფა... აი, ამგვარ შეხედულების იყო თავის „სამადლო სა-

ქმეზე“ სილოვან ხრიკადე. ეს სილოვან ხრიკადე გახლდათ, რომელთანაც ერთ შემოდგომის კვირა დილას მივიდა ზოსიმე და შეეხვეწა, რამე ნაირად მისი სოსო „დაებრაკინებია“ და შრომის ფასს ქე დაპირდა... დიდი ვაჭრობის შემდეგ სამას მანეთად მორიგდენ, სამასი მანეთი წინდაწინ უნდა მიეცა ზოსიმეს და შვილის განთავისუფლებას დაპირდა. სამასი მანეთი ძნელი გადასახდელი იყო ზოსიმესათვის, მაგრამ შვილის სახლში დარჩენა ყველაფერს უადვილებდა.

— მაშ, ასე, ჩემო ზოსიმე, დაარიგა სილოვანმა როცა გამოისტუმრა შინისაკენ, იგი სამასი მანეთი ამ ერთ კვირაში მომიტანესანამდი არ მომიტან, საქმეს ვერ დევი, წყებ, აგი ფული საქმის გაკეთებას უნდა, კაცები უნდა ვნახო, ვაპურმარლო, წვიდე წამოვიდე და ასე, ყველაფერი ხარჯს თხოულობს, აბა, მე შრომის მეტი რა მხედება, ოღონდ სამადლო საქმეს ვაკეთებ და შენი ხათრი, თორემ... აღარ დაათავა სილოვანმა სიტყვა... მშვიდობითო, ჩამოართვა ხელი და გამოისტუმრა ზოსიმე... შებრუნდა სახლისკენ თუ არა, შედგა, რაცხა გაახსენდა, მოტრიალდა და დაუძახა ზოსიმეს: ზოსიმე, ხვალ შენი სოსო გამოგზავნე ჩემთან, დავარიგებ, როგორ მოიქცეს იმ დროისთვის. — კარგი, ჩემო სილოვან, გამოგზავნიო, უპასუხა ზოსიმემ და თავჩაღუნული და ჩაფიქრებულმა სახლისაკენ გამოემგზავრა ის ღრმა ფიქრებში გაერთო, სახე ხან იმედით გაუშუქდებოდა, ხან უიმედობით მოეღრუბლებოდა. — ვაი, თუ მომატყუოს იმ მართლა ხრიკიანმა, ვეღარც საქმე გამიკეთოს, ბიჭიც ქე წამართვან და ფულიც? შეეკითხებოდა თავის თავს, მაგრამ ისევე უპასუხებდა: — რა ვიცი, დასწყევლოს ღმერთმა, ბევრი კი გადაურჩენია საღმრთობისაგან და ახლა ჩემზე რაფა გაუწყრება

ღმერთი, გაიფიქრებდა ზოსიმე და სახე კვლავ გაუშუქდებოდა იმედის სიხვებით. ასე, ამ გვარ ფიქრებში გართულმა მიალწია სახლამდე, უამბო ყოველივე სახლში ცოლშვილს, რომელთაც მოეწონათ ეს საქმე, თუმცა სამასი მანეთის გადახდა კი ეძნელათ... მაგრამ სოსომ სიხარულით წარმოსთქვა: „არაფერია მამა, ოღონდ მართლა სახლში დავრჩებოდე საღლაც არ ჩავკვდებოდე, და სამას მანეთს ნახევარ წელიწადში ვიშოვნე აქ, ქალაქში რომ ფხვი არ გადავდგა ანუ გემა შშობლები სოსომ... ზოსიმეს ოჯახი სიხარულმა მოიცვა, სოსოს სახლში დარჩენის იმედმა ყველას გული დაუშვიდა.

არა ნაკლებ სიხარულში იყო სილოვანა ხრიკაძის ოჯახიც, სილოვანის ცოლი, ფუნდუკი, ანგარიშობდა, თუ რა ეყიდა და რა შეეყერა ახალი მოდის, მაგრამ ერთი რამ კი აწუხებდა, რომ სილოვანის მას ფულს იმდენს არ მისცემდა, რამდენიც მისი ანგარიშით საქირო იყო მისთვის, რომ კაბები და რამე-რამეები რო ეყიდა.— რა დამრჩება ამდენი, ეტყოდა ცოლს სილოვანი, შენ გგონია, ახლა, ამ სამას მანეთს მე ჩევიჩხრიალებ ყველას ჯიბეში, რამოდენიმე პრისუსტეის ღობტურს უნდა მივცე, ისე პრედესდატელს ისე ზოგიერთ ჩლუნებს, წამალიც უნდა გამევიტანო აფთიაქიდან სასუნეებელი შესაშხაპუნეებელი, დასალევი და რა ვიცი, აბა ისე ვინ დაგიბრაკავს ამ ვირივით ჯანსაღ ბიჭებს, თუ პატარა არ დასუსტე ახლა იანგარიშე რა დამრჩება? შეეკითხებოდა სილოვანი ცოლს რიხით, გამარჯვებული იმ აზრით, რომ ცოლი დააწმუნა იმაში, რომ მას ფული ცოტა დარჩებოდა.

მართლაც, არც ის ითქმის, რომ სილოვანს სახარჯავი არ ქონებოდეს ამ საქმეზე, მხოლოდ მართალი კი უნდა ესთქვათ, რომ ბევრს სხვებისთვის კი ვერ იმეტებდა,

სამხედრო საკრებულოს ზოგიერთ, ესე იგი საქირო პირებს მოიძებნებდა, ცოტას უბურმარლებდა, ან „შრომის“ ფასს მისცემდა, რომ „დაებრაკათ“ ხმის უმრავლესობით, თუნდაც ექიმს ჯანსაღად ეცნო საჯარის-კაცო პირი; წამლებს მართლაც ყიდულობდა, ჯარში გაწვევის დრო რო მოახლოვდებოდა, მისი სახლი საავთმყოფოს წარმოადგენდა, აქა-იქ ოთახებში ყავდა „ავადმყოფი“ სასაღათო ყმაწვილები, ზოგს რაღაც ყვითელ სითხეს ასუნთქებდა ზოგს წვეთებს, ან ფხვნილებს დააღვენიებდა წყლით, ზოგს ფეხში, ხან ხელში წამლებს უყვებდა, და ვინ იცის რას; საქმელს, გაშინჯვამდე ერთი კვირის წინ, ყველას აუკრძალავდა, ცოტა პურს და წყალს მისცემდა, თორემ ისე შედიოულს ააღებებდა ყველას. ჩამოყვლიდა ჩვენი „ექიმი“ ავადმყოფებს და გაუხუმრებდა: „აბა, როგორ გგონიათ“ დასუქებულხართ, ერთი ხელის დაკვრით ხეს წააქცევთ და „დაგბრაკონ“ კი გინდით; კარგია თქვენმა მზემ, თქვენ დაგბრაკონ, აბა ვინლა წაიყვანონ ჯარში; არა ბიძიებო, როგორც გარიგებთ და გწამლობთ, ისე მოიქეცით; ცოტა უნდა დასუსტდეთ, დაემსგავსოთ ავადმყოფებს, თორემ ვინ დაგბრაკავს? ეშმაკურის ღიმილით ეტყოდა თავის „პაციენტებს“ სილოვანი. ამ სიტყვებზე ყმაწვილებსაც აუტყდებოდათ სიცილი, ზოგს საშინელი ხველა აუტყდებოდა, ზოგი ტკივილებს გრძნობდა ხელში, ფეხში და ზოგი ვინ იცის საღ. ეს საცოდავი აღმანიები მართლაც საცოდავ სურათს წარმოადგენდნენ: ფერ-მიხდილნი ათას გვარი საწამლავის ზედ გავლენით, შიშშილისაგან ქანც-მოწყვეტილნი აზრდილებივით დადიოდნენ ოთახში. იყვნენ ჩუმად, რაღაც გამოურკვევ, საიდუმლო, მოლოდინში, ნათლად ეტყობოდათ ყველას, რომ არც ერთი არ გრძნო-

ბდა პატრის ცემას მის „მხსნელ“ სილო-
ვანისადმი, პირიქით, ეზიზღებოდათ კიდე-
ვაც. იყენენ ჩუმად, თითქოს ერთი მეო-
რეს რალაც საიდუმლოს უმალოვენო. მხო-
ლოდ იშვიათად, ხანდისხან ნაცნობები
ერთი მეორეს გაესაუბრებოდენ: „ბიჭო“
სოფროზა, ამ ოჯახ-დაქცეულმა, რალაც
ისეთი შემასუნთქვია, რომ ლაშის დამა-
ხრჩოს ხეულით, მომკლა მაგ ოჯახ-დასაქ-
ცემა, რა აქ მომკვდარვარ და რა უცხო
ქვეყანაში, ჩხუბში, სულ ერთია,“ დაა-
თავებდა ერთი, — არა ძმაო, აგი ხომ სი-
ვლახეა, ჩვენ რომ ვშვრებით, სილაჩრეა,
მაგრამ იქინა სიკვდილს, საღდაც ბრძოლის
ველზე, აქინა გირჩევენია, თუ მოკვდები მა-
ინც სამშობლოში დამპარხვენ, და მოკეთე-
ბი დამატირებენ,“ უპასუხებდა მეორე... —
კი, მაგრამ, რა იცი მაინც-და-მაინც მოვ-
კვდებით ბრძოლის ველზე, იქნება ქე
გადავჩრეთ, ამ ოჯახ-დაქცეულმა ფულიც
გადაგვახდევია და კიდევაც გვწამლავს.
თურქე, ახლა გევიგე, ფარნაოზას ექვითი-
შე რა მოკვდა, სილოვანს მოუწამლავს,
საღდათობას ქე გადარჩენილა, მაგრამ
რალაი, ხომ მოკვდა კაცი, — სთქვა ერთმა
ქერა, ძალზე მისუსტებულმა ყმაწვილმა...
— რა იცი შე კაცი, რომ მოწამლვით
მოკვდა, ჩაერია ერთიც, აშობენ იპას
ქლექი გაუჩნდა და იმან მოკლო... ამ-
გვარი საუბარი ჰქონდათ ხანდისხან დასა-
ბრაკავებს. მოაწევდა გასინჯვის დრო და,
ზოგს მართლაც „ბრაკავდენ,“ ზოგს ჯან-
საღად ცნობილობდენ და აგზავნიდენ ჯარ-
ში, ზოგიც ისე იყო მოწამლული, რომ
საიქიოსაც კი მიდიოდენ დაიწყებდენ
ნელ-ნელ ჰქნობას, როგორც მატლიანი
მკენარე და ესაღმებოდენ წუთი-სოფელს,
ეს „დაბრაკვის“ შემდეგ მალე არ ხდებო-
და, ერთისა თუ ორი-სამი წლის შემდეგ
და ამიტომ ექვი არავის შეჰქონდა მაინც
და მაინც სილოვანზე, თუკა ზოგიერ-

თები კი აშობდენ: „მაგი საცოდავი,
რომ სილოვანამ რალაც უხლაფორთა და
საღდათობას გადაარჩინა, მერვე არის,
რომ თანდათან წავიდა ხელიდან და ახლა
აგია, ქე მოკვდაო!“... მაგრამ სოფელი არ
უჯერებდა ასეთ „ქორებს“ და ისევ განა-
გრძობდა თავისებურად ცხოვრებას.

II.

მეორე დღეს, ორშაბათს, სოსო მივიდა
სილოვანთან... ოჰო, გამარჯობა, სოსო!
მისვალმა სილოვანი, ბიჭოს, კარგი ჩაფს-
კნილი ბიჭი ყოფილხარ! ხა, ხა, ხა, ხა
მოდო და „დააბრავეი ახლა შენ ამისთანა
კურსავით ჩაფსკნილი ყმაწვილი;—გლა-
ხათ არის საქმე, სთქვა ცოტა ჩაფიქრე-
ბის შემდეგ მან!... — ვაიმე, ბატონო, არ
დამკლა კაცი, საქმეს ხელი არ შეუშვათ.
მე არც ისეთი მდევი ვარ მართლა, რომ
ძნელი იყოს ჩემი „დაბრაკვა“ თქვენს
მეტს ჩემთვის კაცს არ უთქვამს ჩაფს-
კნილი და ჯანსალი ხარო... იმიტომ გა-
ძღვეთ სამას მანეთს, რომ რაცხა გაახერ-
ხოთ და დამეხაროთ... — სამასი მანეთი,
რომელია, შენ კაცი, შენ ჰქვიანი ბიჭი
ხარ და მაგას რატომ აშობ, ეს ხარჯებს
არ ეყოფა, ხომ გითხრა მამაშენმა? ჰო,
და თუ ცოტა თავი არ დაისუსტე, რომ
არ „დაგბრაკონ“, დამემდურები... — სი-
ლოვან, რას აშობ, განა ისედაც სუსტი
არა ვარ, რა კიდევ თავი დავისუსტო? —
რის სუსტი ხარ, შე კაცი, რას აშობ,
რო შეგხედონ, არც კი გაგსინჯავენ, ისე
წაგიყვანენ. ჩემო ბიძია შე დამიჯერე და
შენი საქმე ადვილად გაკეთდება, ოღონდ
ცოტა წამლები უნდა მიიღო, იცი? —
დაგასუსტებს ცოტას, ფერს დაგიკარგავს,
რასაკვირველია, დროებით, საშიში არა-
ფერია, როცა გაგანთავისუფლებენ, სამი
დღის შემდეგ ისე იქნები, როგორც ყო-
ფილხარ, უკეთესად კიდევ, მხოლოდ არ-
სად წამოგცდეს, თორემ ვაი შენი ბრა-



ლი, ციმბირს გაგაცილებენ - შენ, თორემ მე რაი; სალდათობას ეწალებოდით, გეტყვიან და მკაცრად დაგსიჯიან, იცოდე; არ უთხრა არავის. -- ბატონო, სილოვან, მაგას ვერ გავებდავ, ვაი თუ დამაფათყოფოს თქვენმა წამლებმა და მომკლას, მაგას ისევ წასვლა მირჩევნია, ფულიც გადავიხდო, წამლებიც მივიღო, ფულს იპიტომ გაძლევთ, რომ გამანთავისუფლოთ, წამლები რაღა საჭიროა?

— ის საჭიროა, რომ არ „დაგბრაკავენ“ ასეთ ჯანსაღ კაცს (სილოვან ხრიკაძე ყველთვის ცდილობდა, ფულები თლად მას დარჩენოდა და წამლებით გაეკეთებია საქმე). არა, ბატონო, ფული მოგცე და თავი მოგაკვლიო ამას ვერ ვიზამ... — შენ იცი ბიძი, თუ ვერ იზამ, შენი საქმე, შენ იცოდე ისე ვერ გიშველი, ბრძანდებოდეთ თქვენთვის, ისე ნახე მაინც ჩემი წამლები, თუ საწამლაგია, აი, აგერ ოთახში მიწყვია, შემოდი, ნახე, კი არ დაგალევიანებ შე კაცო ძალით, რომ ნაზობ... სოსო შეყვა ოთახში, მოდი ერთს ვნახავო, გაიფიქრა; შევიდენ ფარდებ-ჩამოშვებულ ოთახში, სილოვანმა უჩვენა წამლები, მერმე გაიყვანა და აჩვენა „დასაბრაკავი“ ყმაწვილები. სოსომ მათ გამოჰკითხა ყველაფერი, ყმაწვილებმა ზოგმა გაუპირდა წამლების სმა მას, ზოგმა არა, სოსო რყევაში იყო... ბოლოს გადასწყვიტა დაბრუნებულიყო ოჯახში, მშობლებისა და ძმისთვის ეკრთხა და შემდეგ გადაედგა ეს სახიფათო ნაბიჯი... უამბო ყველაფერი სახლში ძმას და მშობლებს პირველად ეს ამბავი მშობლებს ეუცხოვათ, მაგრამ როცა სოსომ უამბო, რომ იქ „დასაბრაკავი“ ყმაწვილები ვნახეო და ზოგმა პირჩიესო, მშობლებმა ცუთხრეს: „ვითომ რა იქნება ისეთი საშიში, მართლა ის ყმაწვილები გიყები ზომ არ არიან, რომ თავი მოიკლანო, და სოსოსაც გაუ-

პირდენ წასულიყო და თავი დაესუსტებია... სოსოსაც მოუვიდა ჭკუაში, ვითომ რა იქნებო და გაბრუნდა სილოვანთან სილოვანი კარგს ხასიათზე ვეღარ იყო. ძლიერ ეწყინა, რომ სოსო გაუჯიუტდა, წამლების ხმარებაზე რომ არ დასთანხმდა და რჩევის საკითხავად სახლში გაბრუნდა. ვაი, თუ აღარ მობრუნდეს აწი და დამძვრეს ხელადან სამასი მანეთი, კარგი ლუკმა იყო, მოწყენით იტყოდა ხოლმე თავისთვის სილოვანი. მაგრამ მისი მოწყენა ხანგრძლივი აღარ გამოდგა, სოსო მალე ესტუმრა ისევ. სილოვანი დიდი სიხარულით შეხვდა... დანახვის თანავე მიამახა: აჰა, მოდი ჭკუაზე თუ არა, ჩემო სოსო; არა, რომ დაფრთხი, რა იყო, განა ისეთს საცოდავობას ჩავიდენ, რომ დაგაფადყოფო? სირცხილი შენი, რომ ამ დროულ კაცზე ეს იფიქრე.

სოსო, ცოტა არ იყოს, დარკხვენილი იყურებოდა, თითქოს ფიქრობდა, მართლაც და რამ მათიქებია ეს ამ კაცზეო... — მაშ, დროს ნულარ ვკარგავთ, მიმართა სილოვანმა, ერთი კვირაღა დაგვრჩა გასინჯვამდი; უპირველესად საქმელი არ უნდა სქამო ამ კვირაში არაფერი, გარდა ნახევარი გირვანქა მქადისა დღეში, წყალი კი რამდენიც გინდა სვი, მხოლოდ წამალი რო გასუნთქებო, მაშინ კი არ სვა. ამ კვირაში, რასაკვირველია, ჩემთან უნდა დარჩე. — ახლა წამოდი ჩემთან, უთხრა და შეიყვანა მყუდრო ოთახში. — ცხვირზე მოიჭირე ხელი მაგრათ, აბა დააღე პირი ფართეთ და ღრმად შეისუნთქე, აი, ასე, უჩვენა მან თუ როგორ უნდა შეესუნთქა; აი, აი, მასე, მასე, კიდევ, კიდევ, ერთი კიდევ. კარგო, კარა. გაათავა სუნთქვა თუ არა, საშინელი ხველა აუტყდა სოსოს... სოსო შეშინდა... ნუ გეშინია შენ მშიშარავ, ანუ გეშა სილოვანმა... — ბიძია სილოვან, მითხარი



თუ ღმერთი გწამს, რისი წამალი მასუნ-
თქებინე ეხლა...—რა შენი ქულის საკი-
თხავია, სოსო; აი, როცა გაგანთავისუფ-
ლებენ, მაშინ გაიგებ, უპასუხა სილო-
ვანმა: ასე ასუნთქებულდა ერთი კვირის
განმავლობაში სოსოს რაღაც ყვითელს,
მძაფრი სუნის მქონე სითხეს, რომლის
შესუნთქვის დროს სოსო თოფ-ნაკრავ-
საკით აიქნედა თავს ზევით და სახე
საშინლად დაედმოქებოდა; ამას გარდა
რადარ ფხენილი და წვეთებიჯ კი მიღე-
ბინა, რომლისგანაც, როგორც შეატყო
სოსომ, გულის საშინელი ძგერა აუტყ-
ყდა... უჭელობამ ერთი კვირის განმავ-
ლობაში და წამლების ხმარებამ ისედაც
სუსტი სოსო მთლად დაასუსტა, მაგრამ
სოსოს ის ანუგეშებდა, რომ მის გვარ
ყოფაში სხვებიც იყვნენ მასთან. სილოვ-
ანი ზოგიერთებს ფენშიც, წვივშიც უშხა-
პუნებდა რაღაც წამალს, რის გამოც ყმა-
წვილებს წვივები უსივდებოდათ და ზოგს
მთელი სხეულიც.

აბა, მოაწია გასინჯვის დრომაც; სილო-
ვანმა დაარიგა ყველა და გასასინჯათ გა-
უშვა, თითონ კი გულის ფანტქალით
აღდევნებდა მათ თვალ-ყურს შორი-ახლო,
აბა თუ ყველა „მაგარიჩს“ და კიდევ
რამე, „მაგარიჩს“ გამოგრჩეო, „შრომის“
ფასი კი უკვე მიღებული ჰქონდა...
ჯერი მიდგა სოსოზედაც, გასინჯეს სო-
სო, ექიპებმა იქიანათ გაიქნიეს თავი და
სთქვეს: *легкия у него слишкомъ пора-
жены, источникъ, не годен*“ო. სოსომ
რუსული არ იცოდა მაგრამ „დარწმუნე-
ბული იყო, რომ დაიწუნეს და სიხა-
რულმა ისედაც აცახცახებული გული
უფრო აუძგერა. სახეზე კი არ იმჩნედა
სიხარულს, არ მიიხედენ „ემშაკობსო“.
გამოვიდა მეორე განყოფილებაში, იქ
მას რაღაც ქაღალდები მიცეს და უთხრეს:
წადი, თავისუფალი ხარო... სოსო სიხა-

რულმა მთლად გააბრწინა, მას ახლა არ
ახსოვს არც შიმშილი, არც სისუსტეს
გრძნობს და არც რამე ტკივილებს; ჩას-
ქიდებია თეთრ ქაღალდს და გამოურკვე-
ველად ჩასტკერის, თითქოს უნდა ამოი-
კითხოს, მართლა თუ ვარ თავისუფალიო.
მიდის ლახლახით საცოდავი. იქვე დახვ-
და სილოვანი მიულოცა და ამბარი უყო,
ვითარცაა იუდაშ.—მოგილოცავ სოსო,
აი, შენ გლახაკო, შენ, რო გეშინოდა,
წაულაპარაკა სილოვანმა და აქეთ-იქეთ
მიმოიხედა, არავინ შეგვაშინოსო... ახ-
ლა, წადი ჩქარა სახლში და ჭამე, სვი,
და მალე ისე—შეიქნები, როგორათაც
იყავი, მე კი ხვალ გესტუმრებით და
„მაგარიჩიც“ მერგება თქვენგან, ხომ
იცი, გაგათავისუფლე, გადაგარჩინე იმ
ცივ რუსეთში ტანჯვას და სიკვდილს,
რიხიანად ეუბნებოდა სილოვანი. ქანც
მიწყვეტილი სოსო შინისკენ გაეგზავრა,
მანამ კი შშიერი კარგა გამოძღა სადი-
ლით, ერთი კვირის უჭმელი მადიანათ
შექცა საქმელს. ბოლოს, როგორც იქ-
ნა, მიატანა სახლს, შშობლები და შმა
ზაქრო მოეგებენ, მიულოცეს განთავი-
სუფლება, მოეხვიენენ, დაჰკოცნეს და
ერთი ამბით შეიყვანეს სახლში... აჭამეს,
ასვეს, უელიდენ, მაგრამ საცოდავი მკა
გულ-გახეთქილი იყო შვილის სისუსტით.
—მალე დატრიალდენ დაზაქროც გაათა-
ვისუფლეს ჯარში წაყვანისაგან; სოსო
წარადგინეს, როგორც მძიმე ავადმყოფი
და შრომის უნარს მოკლებული, რამაც
იპატივა ზაქრო.

...—ნუ გეშინია სოსო, ეტყოდა ზაქ-
რო, ახლა შინავართ ორივე, დავტრიალ-
დეთ ჩვენ ეზო მიდამოში, ვიშრომოთ
და რისი გვეშინია, ლუკმა პურს ვსჭამთ
გემოზე ი, გოგო, თებრო კარგს ბიჭს
მივათხოვეთ და ჩვენც ჩვენს შესაფერს
ვისმე მოვნახავთ და ვიცხოვრებთ. ყველა



ეს სიტყვები სოსოს მართლაც იმედს უძრავედენ გულში, მაგრამ გული რაღაც არ უცინოდა, არ უმხიარულდებოდა, პირველ ხანებში ფიქრობდა, ჯერ კიდევ არ ვარ თავისუფალი იმ ოხერ წამლები-საგანო, მაგრამ დრო გადიოდა და ფერხორცი კი არ ემატებოდა ოდნავდაც. ხველამაც არ უკლო, რაც ძლიერ აფიქრებდა ყველას.— ვაი, შენს დედას შვილო, ეს რა უსაშველო ხველა აგიტყდა და საშველი რო არ დაადგა, რომ არც დღე არც ღამე გაძინებს, სად წავიდე, დამაქცია მგონი იმ უღმერთო ხრიკაძემ, ჩაიდგა ჩემი ცოდა, ოჯახში, — წუწუნებდა მუდამ მკა, შვილს რო ასე ხედავდა, მასთან კი იმედიანათ იყო, გულს არ იტეხდა. ასე შეწუხებული იყო ზოსიმეც და ზაქროც, ხშირად მიდიოდნენ სილოვანთან და შესჩივლებდნენ: „სილოვან, დამღუპე, მგონი კაცი, იმ შენ წამლებს მერე ვერ არის სოსოს საქმე კარგად“... — ადამიანებო, ფრთხილად იყავით, არ წამოგცდეთ რაზე, რის წამლებიო, რას ამბობთ, არ გავგიოთ ვინმემ, თორემ დაიღუპებით, შვილი ეშმაკობით სალდა-თობას გადაარჩინაო და თქვენც დაგსჯიან და იმ შენს სოსოსაც... მომდგომხართ აქა და არ მასვენებთ, მეორე ხელ არ დამენახოთ აქ, ჩემი ხელიდან არავინ დაჩაგრულა და თქვენ თუ კიდევ არ მომასვენებთ, მე ვიცი მაშინ და თქვენ, დაემუქრა სილოვანი მათ და შებრუნდა ბრახმორეული სახლში.— წამოდი ზაქრო სახლში, მოვშორდეთ მაგ წყევულს, ხრიკიანია, კიდევ არ გვიყოს რაზე, ხლაფორთი არ აგვყაოლოს, მაგის ხელობა ეს არის. ხომ დავგელუბა და ეს არის... ამოოხვრით უთხრა ზოსიმემ ზაქროს. მამა და შვილი თავ ჩაქინდრულნი, მწარედ დაძმარებულნი დაბრუნდნენ სახლში.

სოსო რაც დღე მიდიოდა, მთლად

უარესდებოდა: დაილია, დადნა, ხველებამ უმატა და სისხლსაც აყოლებუბდა ხველების დროს. წუქიები უწერდნენ წამლებს, რძეს, კვერცხს, მაწონს; ურჩევდნენ ზაფხულში სადმე ჰაერზე წაეყვანათ, მაგრამ სოსოს არაფერი რგებდა. ის იყო მუდამ მღუმ-რე, ჩათხრობილი, იშვიათად თუ ხვას ამოიღებდა, ისიც თუ რაზე დასჭირდებოდა, თორემ იყო გაჩუმებული, თითქოს რაღაც მძიმე ლოდით აწევს გულზეო, თითქოს რაღაც ისეთი ცოდვა ჩაიდნა, რომლის წარმოთქმა ეძნელება და წარმოუთქმელობაც სტანჯავსო. მზიან დღეში, ჩრდილოში გამოვიდოდა კარზე, დაჯდებოდა და ნაღვლიანად მოავლებდა თვალს მის ეზო-მიდამოს, რომლის სილამაზეს წინეთ აღტაცებაში მოჰყავდა, ეხლა კი ოხერას იწვევდა მასში.

ამგვარად გასტანა ორი წელიწადი; მშობლები ძლიერ უვლიდნენ, თებრო ხშირად ესტუმრებოდა ძვირფას ძმას და თავს ევლებოდა: სულ უვლიდა, ულოლიავენდა... მაგრამ ამაო იყო ყველაფერი, ცოტას მოიკეთებდა ხანდისხან, მაგრამ ისევ შეაბრუნებდა...

III

1918 წელს გაზაფხულია... თავისუფლების მოტრფიალე ხალხი თავ გამოდებით იცავდა რევოლიუციის მონაპოვარს... ყველას მოუწოდებდნენ იარაღით ხელში გამოსულიყვნენ და დაეცვათ სამშობლო თავისუფლება, და მართლაც არც კი დარჩენილა. № სოფელში არავინ, ვისაც კი იარაღის ტარება შეეძლო, ყველა წავიდა სამშობლოს და თავისუფლების დასაცავათ შემოსეული მტრისგან...— ყველგან გესმოდათ მოქალაქეთა ძახილი: „წავიდეთ, ბიჭებო, არ დარჩეთ სახლში, ეხლა ხომ ნიკოლოზის მთავრობას არ ვესახურებით ჩვენი სამშობლო და თავისუფლება უნდა დაეიცვათო, ყველა მიდიოდა, ყველას მიუ-



საქართველოს
შემაჯობებელი

ხარდა, რომ მათაც შეეძლო თვისი წვლილი შეეტანა სამშობლოს და თავისუფლების დაცვის საქმეში. ზოსიმეს ზაქრო აბა რა სხვებზე ნაკლები იყო, რომ სხვას ჩამორჩენოდა ასეთ საქმეში და წასასვლელად მოემზადა. ზოსიმემ რა ეს დაინახა, გულ ატირებულმა ესლა უთხრა: წადი, შვილო, წადი ნეტავი მე შემეძლოს, მეც გამოგყვები, რაღა ჯანდაბათ მინდა თავი, თუ ასეთ გასაქირში ქვეყანას ვერ წაადგები... მაგრამ რაღაი, მუხლებში ღონე აღარ მაქვს და თვალები აღარ მიჭრის... შვილობით დაგაბრუნოს ღმერთმა სახლში. მოეხვივნენ დედმამა შვილს, ჩაჰკოცნეს და გზა დაულოცეს... მერმე ზაქრო სოსოსთან მივიდა და უნდოდა გამომშვიდობებოდა, მაგრამ რას ხედავს! ეს მისუსტებული ავადმყოფი საღაც წასასვლელად ემზადებოდა... ზაქროს გაუკვირდა და ჰკითხა: „რას შერები სოსო, შენსაღდა მიღიხარ? სოსო, აქამდე ჩუმი, უსიტყვო, გულ ჩათხრობილი, ეხლა სახე გახსნილი მადიანათ ლაპარაკობდა თითქოს სიცოცხლე მოჰატებოდა.—სად მივდივარ და მეც თქვენთან, არ დამიშლით, აღელვებით ამბობდა სოსო, ეხლა ხომ რუსეთში არ მიწვევს წასვლა, ეხლა ხომ გერმანელებს არ ვეჩხუბები, ეხლა ხომ ნიკოლოზის ჯარში არ მიწვევენ, ჩემი მხარე უნდა ააოხრონ და თავისუფლება წაგვართვან, არა; არ შემოიძლია, მეყოფა, რაც დავსახიჩრდი, მეც უნდა მივეშველო ჩემს ქვეყანას მეც უნდა დავღვარო მისთვის სისხლი. მშვილობით დედავ, მამავ, წამიყვანე ზაქრო, სანამდიც მოგყვები, წამოვალ. დეე, გზაში მოვადე, ოღონდ ნუ, ლოგინზედ... მრცხვენია... ნუ მოაკლავ... მე თვით მოვიკალი თავი... გამიშვით... ნამეტანი ღელვისაგან სოსოს ხველება აუტყდა, სისხლი ამოაღობია, ქანკი გაუწყდა და

გონება-მოხდელი დაეცა ლოგინათ; ამის შემდეგ მას დიდხანს არ უტოცხლია.

ი. ბუკისციხელი.

შურნალ-გაზეთმეზიდან.

საქართველოს მთავრობა აცხადებს, რომ მოკავშირეთა სახელმწიფოები სრულის ნდობით უტყევენ საქართველოს რესპუბლიკას, და იმ უტყუარ მასალების მიხედვით, რომელიც მთავრობას აქვს შეგვიძლიან ვიფიქროთ, რომ სრული კეთილ განყოფილება ჩამოვარდება ჩვენსა და მოკავშირეთა შორისო.

აკაკი ივანესძე ჩხენკელი დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო სრულ უფლებიან ელჩად ევროპის ყველა სახელმწიფოებში საქართველოს რესპუბლიკის ინტერესების დასაცავად.

ამიერ-კავკასიის ს.-დ. ორგანიზაციათა ყრილობამ საქართველოს რესპუბლიკის ჯარების შესახებ შემდეგი რეზოლიუცია მიიღო:

„ყრილობა მიესალმება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ახალგაზრდა ჯარს და გამოსთვამს სრული იმედს, რომ ახალი ჯარი შესძლებს თავისი მოვალეობის შესრულებას და მედგრად დაიცავს დემოკრატიულ წესწყობილებას და რესპუბლიკის დამოუკიდებლობას როგორც შინაურის აგრეთვე გარეშე მტრებისგან“.

დღეს, 1 დეკემბერს, მოხდება პარლამენტის არა ჩვეულებრივი სადღესასწაულო სხდომა საქართველოს დამოუკიდებლობიდან ნახევარი წლის შესრულების აღსანიშნავათ.

340



=====

ფასი 1 ჲ. 50 კ.

=====